04/01/2020

რელიგიის საკითხთა სააგენტო პატრიარქს დაბადების დღეს ულოცავს

დღეს სრულიად საქართველოს კათოლიკოს- პატრიარქის დაბადების დღეა. რელიგიის საკითხთა სახელმწიფო სააგენტო ილია მეორეს დაბადების დღეს ულოცავს.

„დღეს სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქის დაბადების დღეა. პიროვნების, რომელმაც საქართველოს უახლეს ისტორიაში მთელი ეპოქა შექმნა. პატრიარქი ქვეყნის გამაერთიანებელი სიმბოლოა, რომელსაც პატივს სცემენ და უსმენენ სხვადასხვა შეხედულების ადამიანები. პატრიარქი გამოჩენილი რელიგიური ლიდერია, რომელსაც აფასებენ და ენდობიან არა მხოლოდ მართლმადიდებლურ სამყაროში.

რელიგიის საკითხთა სახელმწიფო სააგენტო დიდი პატივისცემით ულოცავს მის უწმინდესობას დაბადების დღეს და დიდხანს სიცოცხლეს, ჯანმრთელობასა და სამშობლოს გამთლიანებას უსურვებს,”- ნათქვამია რელიგიის საკითხთა სახელმწიფო სააგენტოს მიერ გავრცელებულ განცხადებაში.

— ipn.ge